შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# ლოგისტიკა

თბილისი
2024 წელი

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

1. **პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე:** ლოგისტიკა/ Logistics

2. **იმ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა :** ტვირთების ექსპედირება; Freight forwarding - 04.2.1

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში; Secondary Vocational Qualification in Freight forwarding

4. **კვალიფიკაციის დონე**

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეოთხე დონე

**5. კვალიფიაციის აღწერა:**

- ISCED კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება - შეისწავლის ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ფუნქციონირებისა და საქმიანობის დაგეგმვას, ხელმძღვანელობასა და მუშაობას/ოპერირებას. მენეჯმენტის პროგრამები, რომლებიც მოიცავენ ადმინისტრირებას, ეკონომიკას, ფინანსებს და ა.შ. კლასიფიცირდება ამ სფეროში თუ აქცენტი გადატანილია მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაზე.
- ISCO კოდი - 4323 ტრანსპორტირების სპეციალისტები
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 49.41.0 სატვირთო საგზაო ტრანსპორტი; 49.42.0 გადაზიდვის მომსახურება; 51.21.0 საჰაერო სატვირთო ტრანსპორტი.

6. **მიზანი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სატვირთო გადაზიდვების სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეეძლება სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; გადაზიდვების ზედამხედველობა, მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ორგანიზება და დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

7. **დასაქმების შესაძლებლობები**

დასაქმების შესაძლებლობებია: ტვირთების გადამზიდავი ექსპედიტორული და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმები, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსები, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმები, მზა პროდუქციის მსხვილი სადისტრიბუტორო ფირმები, გამანაწილებელი და ლოგისტიკური ცენტრები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები, საშუამავლო ფირმები.

**8. დაშვების წინაპირობა**

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

**9. სწავლის შედეგები**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
- განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა;
- აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი.

## 10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

| მოდული | პროფესიული უნარები | პროფესიული ცოდნა | საკვანძო კომპეტენციები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია | უცხო ენაზე კომუნიკაცია | მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში | ციფრული კომპეტენცია | დამოუკიდებლად სწავლის უნარი | პიროვნებათაშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები | მეწარმეობა | კულტურული გამომხატველობა |
| ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები | • აღწერს ტვირთების ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციულ სტრუქტურას<br>• აღწერს ტვირთების ექსპედირების საწარმოს საქმიანობას<br>• აღწერს საკუთარ სამუშაოს და უფლება-მოვალეობებს საწარმოში | • იცის ტვირთების ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა<br>• იცნობს ტვირთების ექსპედირების საწარმოს საქმიანობას<br>• იცნობს საკუთარ შრომის აღწერილობას | X | | | X | X | | | |
| ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები | • აღწერს სფეროს მარეგულირებელი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითად ფუნქციებს და ამოცანებს<br>• აღწერს საწარმოს ურთიერთობის სფეროებს | • იცნობს სატვირთო გადაზიდვების და ტვირთების ექსპედირების სფეროს ადგილობრივი და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანიზაციების საქმიანობის სფეროებსა და ამოცანებს | X | | | X | X | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მარეგულირებელ უწყებებთან<br>• აღწერს სფეროში მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანიზაციებს და საწარმოს ურთიერთობას ამ ორგანოებთან<br>• აღწერს ტვირთების ექსპედირების საწარმოს ურთიერთობის წესებს სახელმწიფო უწყებებთან და მარეგულირებლებთან<br>• აღწერს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს შრომის, ჯანმრთელობის უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სახიფათო ტვირთების გადაზიდვების კანონმდებლობის ფარგლებში<br>• აღწერს ტვირთების გადაზიდვასთან და შენახვასთან დაკავშირებულ საბაჟო კანონმდებლობასა და პროცედურებს | • იცის საწარმოს ურთიერთობის სფეროები მარეგულირებელ უწყებებთან<br>• იცის სფეროს მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითადი ფუნქციები და იცნობს საწარმოს ურთიერთობას ამ ორგანიზაციებთან<br>• იცის ტვირთების ექსქპედირების საწარმოს სახელმწიფო უწყებებთან და მარეგულირებლებთან ურთიერთობის საკითხები<br>• იცნობს ტვირთის ექსპედირების ოპერაციების შრომის, ჯანმრთელობის უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სახიფათო ტვირთების გადაზიდვების კანონმდებლობას<br>• იცნობს ტვირთების გადაზიდვასა და შენახვასთან დაკავშირებულ საბაჟო კანონმდებლობას და პროცედურებს | | | | | | | | |
| სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა | • განსაზღვრავს ტვირთების სახეობებს და კატეგორიებს<br>• განსაზღვრავს ტვირთის გადაზიდვის ამოცანას<br>• ახდენს მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირებას | • იცნობს ტვირთების სახეობებს და კატეგორიებს<br>• იცის ტვირთების გადაზიდვების ოპერაციები<br>• იცის მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება<br>• იცის ტვირთის გადაზიდვის | X | | | X | X | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • იკვლევს ბაზარზე ტვირთის გადაზიდვის მომსახურების მოთხოვნა-მიწოდებას<br>• ადგენს ექსპედიტორის პასუხისმგებლობისა და ტვირთის დაზღვევის პირობებს<br>• განსაზღვრავს მომწოდებლებისგან შესასყიდ მომსახურებებს<br>• აღწერს მომსახურების მომწოდებლების შერჩევის კრიტერიუმებს<br>• ირჩევს მომსახურების მომწოდებლებს<br>• ითვლის გადაზიდვის მომსახურეობის ხარჯებს<br>• ახორციელებს საექსპედიტორო მომსახურების ფასის კალკულაციას<br>• აღწერს საერთაშორისო ვაჭრობის პირობებს - Incoterms<br>• ახორციელებს ტრანსპორტის სახეობის შერჩევას მათი თავისებურებების და უპირატესობების მიხედვით<br>• განსაზღვრავს ტრანსპორტის სახეობას და სატრანსპორტო საშუალებებს<br>• ირჩევს სატრანსპორტო მარშრუტს ტვირთის სპეციფიკის და დამკვეთის | მომსახურების ბაზრის მოკვლევის მეთოდები<br>• იცის ექსპედიტორის პასუხიმგებლობისა და ტვირთის დაზღვევის პირობები<br>• იცის საექსპედიტორო მომსახურების ფორმირების ასპექტები და წესები<br>• იცის მომსახურების მომწოდებლების შერჩევის კრიტერიუმები<br>• იცის გადაზიდვის მომსახურეობის ხარჯების კალკულაცია<br>• იცის საექსპედიტორო მომსახურების ფასის კალკულაცია<br>• იცის Incoterms-ის პირობები<br>• იცის ტრანსპორტის სახეობის შერჩევა მათი თავისებურებების და უპირატესობების მიხედვით<br>• იცის ტრანსპორტის სახეობების და სატრანსპორტო საშუალებების მახასიათებლები, უპირატესობები და ნაკლოვანებები<br>• იცის სატრანსპორტო მარშრუტის შერჩევა ტვირთის სპეციფიკის და დამკვეთის სურვილის შესაბამისად<br>• იცნობს მძღოლების სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებულ | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სურვილის შესაბამისად<br>• ამზადებს მძღოლების სამუშაო გრაფიკებს<br>• აღწერს მძღოლების უფლება-მოვალეობებს<br>• უზრუნველყოფს კონტრაქტის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებების მზაობას<br>• ახდენს ტვირთის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის ორგანიზებას დატვირთვის გეგმის შესაბამისად და ტვირთის სპეციფიკის გათვალისწინებით | რეგულაციებს და მეთოდებს<br>• იცნობს მძღოლების უფლება-მოვალეობებს<br>• იცის კონტრაქტის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებების მზაობის უზრუნველყოფა<br>• იცის ტვირთის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის ორგანიზების საკითხები დატვირთვის გეგმისა და ტვირთის სპეციფიკის გათვალისწინებით | | | | | | | | |
| სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება | • მონაწილეობს მომხმარებლისთვის კომერციული წინადადების მომზადებაში<br>• მონაწილეობს მომხმარებლებთან მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმებაში / დავალების შესაბამისად ამზადებს კლიენტისთვის შეთანხმების ფორმას;<br>• ამზადებს სატრანსპორტო დოკუმენტაციას / სათანადო წესების დადგენილი ფორმის დაცვით ავსებს გადაზიდვის განაცხადს;<br>• ადგენს ინვოისს<br>• ატარებს სატრანსპორტო | • იცის მომხმარებლისთვის კომერციული წინადადების მომზადების პროცედურები და წესები<br>• იცნობს მომხმარებლებთან მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურებს<br>• იცნობს გადაზიდვებთან დაკავშირებულ სატრანსპორტო დოკუმენტაციის მომზადების წესებს<br>• იცის ინვოისის შედგენის პრინციპები<br>• იცის სატრანსპორტო დოკუმენტაციის გატარება ელექტრონულ სისტემაში | X | | | X | X | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დოკუმენტაციის ელექტრონულ სისტემაში საწარმოს პროცედურების შესაბამისად | | | | | | | | | |
| სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება | • ახორციელებს ტვირთის შეფუთვის საშუალებების აღრიცხვა-დაბრუნების პროცედურებს<br>• ირჩევს შეფუთვის სახეობებს ტვირთის და ტრანსპორტის საშუალების სახეობის და მომხმარებლის მოთხოვნის მიხედვით<br>• აღწერს ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების, ტვირთის სამაგრებთან და შეფუთვასთან დაკავშირებული წესებს<br>• ირჩევს ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებებს ტვირთის უსაფრთხოების რეგულაციების გათვალისწინებით<br>• იცავს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს<br>• ახორციელებს ნაკრები ტვირთების კონსოლიდაციას<br>• გეგმავს ტვირთების (მათ შორის არაგაბარიტული და | • იცის ტვირთის შეფუთვის საშუალებების აღრიცხვა-დაბრუნების წესები<br>• იცის ტვირთის გადაზიდვის რეგულაციები და წესები<br>• იცნობს შეფუთვის სახეობებს<br>• იცის ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების რეგულაციები<br>• იცის გადაზიდვების პროცესის მართვისთვის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება<br>• იცის ნაკრები ტვირთების კონსოლიდირების წესები და მეთოდები<br>• იცის ტვირთების კონტეინერში/სატრანსპორტო საშუალებაში განთავსების წესები<br>• იცნობს ელექტრო ტაქოგრაფის გამოყენების წესებს<br>• იცის არაგაბარიტული და საშიში ტვირთების გადაზიდვის წესები | X | | | X | X | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საშიში ტვირთების) განთავსებას კონტეინერში/სატრანსპორტო საშუალებაში<br>• ახდენს ელექტრო ტაქოგრაფის ანალიზს<br>• იყენებს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას გადაზიდვების პროცესის მართვისთვის | | | | | | | | | |
| ტვირთის გადაზიდვის კონტროლი | • ახდენს ტვირთის და სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგის სისტემების იდენტიფიცირებას<br>• ახორციელებს ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობას ელექტრონული მოწყობილობების და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით<br>• კოორდინაციას უწევს მძღოლებს<br>• ახდენს საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის გაცვლას შესაბამის მხარეებთან<br>• მონაწილეობს ტვირთის გადაზიდვის შეფერხების პრევენციულ ღონისძიებებში<br>• მონაწილეობს მომხმარებლებიდან | • იცნობს ტვირთის და სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგის სისტემებს<br>• იცნობს ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობის ელექტრონულ სისტემებს<br>• იცის მძღოლების კოორდინაციისთვის საჭირო საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება<br>• იცის ინფორმაციის გაცვლის ხერხები და მეთოდები<br>• იცის კრიზისის მენეჯმენტის ძირითადი საკითხები სატვირთო გადაზიდვებში<br>• იცის რეგლამაციების დამუშავების ძირითადი პრინციპები<br>• იცნობს ტვირთის დაზღვევის პირობებს<br>• იცის სადაზღვევო კომპანიასთან ურთიერთობის | X | | | X | X | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შემოსული რეკლამაციების დამუშავებაში<br>• აღწერს ტვირთის დაზღვევის პირობებს<br>• ადგენს სადაზღვევო მოთხოვნას | მართვა და სადაზღვევო მოთხოვნის შედგენა | | | | | | | | |
| სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლი | • აკონტროლებს ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების ნორმების შესრულებას<br>• აკონტროლებს ტვირთების უსაფრთხოებისა და დაცვის პრინციპების უზრუნველყოფას<br>• აკონტროლებს სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ნორმების შესრულებას<br>• აღწერს ხარისხის მართვის სტანდარტების ძირითად მოთხოვნებს<br>• აკონტროლებს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობას ხარისხის კონტროლის პროცედურების დაცვით<br>• აკონტროლებს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხს ხარისხის კონტროლის ინდიკატორების (KPI) გამოყენებით | • იცის ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები<br>• იცის ტვირთების უსაფრთხოებისა და დაცვის პრინციპები<br>• იცის სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ნორმები<br>• იცის ხარისხის მართვის სტანდარტების ძირითადი მოთხოვნები<br>• იცის ხარისხის კონტროლის პროცედურები<br>• იცის ხარისხის კონტროლის ინდიკატორები (KPI) | X | | | X | X | | | |

## 11. მნიშვნელოვანი ზოგადი უნარები, დამოკიდებულებები და შესაძლებლობები

| ზოგადი უნარები | |
|---|---|
| ბიზნეს უნარები, საქმიანობის მართვა და კოორდინაცია | კოორდინაცია და დროის მართვა |
| | ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა |
| | პროექტების მართვა |
| | პროდუქტის ან მომსახურების გაყიდვა, კომუნიკაცია და მარკეტინგი |
| | მომხმარებელთან ურთიერთობა |
| ინოვაცია და კრეატიულობა, ახალი გადაწყვეტის მოფიქრება | ანალიტიკური აზროვნება |
| | შემოქმედებითი აზროვნება |
| | კრიტიკული აზროვნება |
| | სისტემური აზროვნება |
| ციფრული ტექნოლოგიები, ტექნოლოგიების ეფექტიანად და პასუხისმგებლობით შექმნა და გამოყენება | ტექნოლოგიების გამოყენება მონიტორინგი და კონტროლი დავალების შესასრულებლად ტექნოლოგიური საშუალებების სწორად შერჩევა, გამართვა და გამოყენება |
| ენები, მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია | მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია<br>წაკითხულის გააზრება,  წერა, კითხვა, საუბარი |
| | უცხოურ ენებზე კომუნიკაცია<br>წაკითხულის გააზრება, , წერა, კითხვა, საუბარი |

| დამოკიდებულებები | |
|---|---|
| ადამიანებთან მუშაობა | კითხვების დასმა |
| | სწავლება და ტრენინგი |
| | უკუკავშირის მიღება |
| | ინსტრუქციებისა და პროცედურების მიყოლა |
| | სხვების დახმარება და მხარდაჭერა |
| | ემპათია |
| | დარწმუნება და მოლაპარაკება |
| | ქსელური მუშაობა და კავშირების დამყარება |
| | სხვისი აზრის გათვალისწინება |
| | ლიდერობა |
| | ნდობის მოპოვება |
| საკუთარი თავის მართვა, აზრების, გრძნობებისა და ქმედებების მართვა | დამოუკიდებლად მუშაობა |
| | დროის მართვა და პრიორიტეტიზაცია |
| | პირადი გაცნობიერება<br>საკუთარ თავზე ფოკუსირება, საკუთარი ღირებულებების, ემოციების, მისწრაფებების და რეაქციების გააზრება |
| | საჯარო გაცნობიერება<br>გააზრება, თუ როგორ აღგიქვამენ სხვები |
| | თვითკონტროლი<br>ცდუნების მიუხედავად საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღება, ნებისყოფა |
| | ცნობისმოყვარეობა |
| | ცვლილებებისადმი ადაპტაცია |
| | სწავლისადმი მზაობა |
| | ანგარიშვალდებულება და ვადების დაცვა |
| | პასუხისმგებლობის აღება |
| | შესრულებული საქმიანობის ხარისხის მართვა |
| | ფრუსტრაციის (იმედგაცრუების) მართვა |

| | |
|---|---|
| | სტრესის მართვა |
| | შეუპოვრობა |
| გლობალური მოქალაქეობა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა, სამოქალაქო ღირებულებები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა | სოციო-კულტურული ცნობიერება<br>სხვათა პატივისცემა და დაფასება, გლობალური ტენდენციების, ისტორიისა და სოციალური სამართლიანობის საკითხების გააზრება |
| | მედიაწიგნიერება<br>ტექნოლოგიების საზოგადოებაზე ზეგავლენის გააზრება, ტექნოლოგიების პასუხისმგებლობით გამოყენება |
| | გარემოსდაცვითი ცნობიერება<br>ადამიანების გარემოზე ზეგავლენის გააზრება |

| **შესაძლებლობები** | |
|---|---|
| კოგნიტური შესაძლებლობები | სელექციური ყურადღება<br>კონკრეტულ საქმეზე კონცენტრირება |
| | დროის გადანაწილება<br>ორი ან მეტი აქტივობის ერთდროულად ან მონაცვლეობით განხორციელება |
| | კატეგორიზაცია<br>ცნებების, კატეგორიების, საგნების გასაერთიანებლად ან დასაჯგუფებლად გარკვეული წესების შექმნა და გამოყენება |
| | იდეების გენერირება<br>გარკვეულ თემასთან დაკავშირებით ახალი იდეების მოფიქრების  შესაძლებლობა.  მნიშვნელოვანია იდეების სიმრავლე და არა მათი ხარისხი, სისწორე ან კრეატიულობა |
| | ინდუქციური მსჯელობა<br>სხვადასხვა ინფორმაციის გაერთიანება ზოგადი წესებისა და დასკვნების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ისეთი მოვლენების დაკავშირება, რომელთა შორის კავშირების დადგენა ერთი შეხედვით რთულია |
| | ინფორმაციის მოწესრიგება<br>საგნებისა და მოქმედებების გარკვეული თანმიმდევრობით მოწესრიგება, კონკრეტული წესისა თუ წესების საფუძველზე (მაგ: რიცხვების, სიტყვების, სურათების, მათემატიკური ოპერაციების) |
| | ორიგინალურობა<br>მოცემულ სიტუაციასა და თემაზე, სხარტი ან უჩვეულო იდეების მოფიქრება, ან პრობლემის |

| | |
|---|---|
| | მოსაგვარებლად კრეატიული გზების მოძებნა |
| | პრობლემის იდენტიფიცირება<br>არსებული ან პოტენციური პრობლემის დანახვა ან პროგნოზირება. არ მოიცავს პრობლემის გადაჭრას |
| | დამახსოვრება<br>სიტყვების, სურათ-ხატების, მოვლენების დამახსოვრება |
| | დასკვნის გამოტანის მოქნილობა/ფარული კანონზომიერების ამოცნობა<br>ნაცნობი ობიექტის (ფიგურა, საგანი, სიტყვა, ხმა) რომელიც წარმოდგენილია სხვა, ნაკლებად აღქმადი ფორმით, ამოცნობა ან დადგენა |
| | სივრცითი ორიენტაცია<br>გარემოსთან მიმართებით, საკუთარი ან სხვა საგნების ადგილმდებარეობის განსაზღვრა |
| | დასკვნის გამოტანის სისწრაფე<br>ინფორმაციის გაერთიანება თუ ორგანიზება, დასკვნების სწრაფად გამოტანა |
| | მათემატიკური მსჯელობა<br>პრობლემის გადასაჭრელად სწორი მათემატიკური ოპერაციების, მეთოდების ან მიდგომების შერჩევა |
| | რიცხვებით ოპერირება<br>ისეთი მათემატიკური ოპერაციების, როგორებიცაა: მიმატება, გამოკლება, გამრავლება ან გაყოფა, სწრაფად და ზუსტად შესრულება |
| | სივრცითი ორიენტაცია<br>გარემოსთან მიმართებით, საკუთარი ან სხვა საგნების ადგილმდებარეობის განსაზღვრა |
| | ვიზუალიზაცია<br>საგნების შეცვლილი ფორმით (გაადგილებული, გადაკეთებული) წარმოდგენა |
| | ზეპირი გადმოცემის გაგება<br>სიტყვებითა და წინადადებებით გადმოცემული ზეპირი ინფორმაციის/იდეების გაგება |
| | ზეპირი გადმოცემა<br>ინფორმაციისა და იდეების სხვებისთვის ზეპირი გზით, გასაგებად გადაცემა |
| | წერილობითი გადმოცემის გაგება<br>წერილობითი ინფორმაციისა და იდეების წაკითხვა და გაგება |
| | წერილობითი გადმოცემა<br>ინფორმაციისა და იდეების სხვებისთვის წერილობითი გზით გასაგებად გადმოცემა |
| ფიზიკური შესაძლებლობები | ამტანობა<br>სუნთქვის უკმარისობისა და ქოშინის თუ ფიზიკური დაღლის გარეშე, დიდი ხნის განმავლობაში გაძლება |

| | |
|---|---|
| | დინამიკური მოქნილობა<br>სწრაფად და გაუჩერებლად  მოხრა, გაწელვა, ტრიალი |
| | მოქნილობის ხარისხი<br>სხეულის, ხელისა და ფეხის გამოყენებით მოხრა, ტრიალი, გაწელვა |
| | მთლიანი სხეულის კოორდინაცია<br>მთლიანი სხეულის მოძრაობის დროს, ხელის, ფეხისა და ტანის მოძრაობის კოორდინაცია |
| | მთლიანი სხეულის წონასწორობა<br>არასტაბილურ პოზაში ყოფნისას სხეულის ბალანსის შენარჩუნება ან აღდგენა |
| ფსიქომოტორული შესაძლებლობები | ხელის სიმარჯვე<br>მკლავთან ერთად ხელის სწრაფად მოძრაობა, საგნების მართვა, მანიპულირება, აწყობა |
| | რეაქციის დრო<br>კონკრეტულ სიგნალზე (ხმა, სინათლე, გამოსახულება) სწრაფი რეაგირება |
| სენსორული შესაძლებლობები | საუბრის სიცხადე<br>მკაფიოდ და სხვებისთვის გასაგებად საუბარი |
| | საუბრის ამოცნობა<br>სხვა ადამიანის საუბრის ამოცნობა და გაგება |
| | სიღრმის აღქმა<br>მანძილის განსაზღვრა ობიექტებთან მიმართებაში |
| | შორსმხედველობა<br>შორ მანძილზე დეტალების დანახვა |
| | ახლომხედველობა<br>ახლო მანძილზე დეტალების დანახვა |

12. სტრუქტურა და მოდულები საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის (21-ე დანართი გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე)

ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 123 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 23, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 100 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 85 სასწავლო კვირა, 21 თვე

ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 153 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 53, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 100 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 107 სასწავლო კვირა, 28 თვე.

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება - **11.00.5** | 3 |
| 2 | პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები - **11.00.4** | 4 |
| 3 | რაოდენობრივი წიგნიერება - **11.00.3** | 3 |
| 4 | მეწარმეობა - **11.00.6** | 5 |
| 5 | უცხოური ენა (ინგლისური ენა) - **11.00.1** | 5 |
| 6 | სამოქალაქო განათლება - **11.00.2** | 3 |
| | სულ | **23** |
| პროფესიული მოდულები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები - **04.2.1.1** | 8 |
| 2 | ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები - **04.2.1.2** | 12 |
| 3 | სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა - **04.2.1.3** | 20 |
| 4 | სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება - **04.2.1.4** | 16 |
| 5 | სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება - **04.2.1.5** | 16 |
| 6 | ტვირთის გადაზიდვის კონტროლი - **04.2.1.6** | 12 |

| | | |
|---|---|---|
| 7 | სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლი - **04.2.1.7** | 16 |
| | სულ | **100** |

| ქართული ენის მოდულები | | |
|---|---|---|
| მოდულის დასახელება | | კრედიტი |
| 1 | ქართული ენა A2 - **0110001** | 15 |
| 2 | ქართული ენა B1 - **0110002** | 15 |
| სულ: | | **30** |

## 13. სტრუქტურა და მოდულები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში (22-ე დანართით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე)

ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 168 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 8, ინტეგრირებული მოდულების - 60 კრედიტი, პროფესიული მოდულების - 100 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი.

ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 198 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 98, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 100 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 3,5 წელი.

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება - **11.00.5** | 3 |
| 2 | უცხოური ენა (ინგლისური ენა) - **11.00.1** | 5 |
| | სულ: | 8 |
| | **ინტეგრირებული მოდულები** | |
| 1 | მათემატიკური წიგნიერება - **0540000** | 14 |
| 2 | მეცნიერება და ტექნოლოგიები - **0580000** | 18 |
| 3 | მოქალაქეობა - **0380000** | 10 |
| 4 | კომუნიკაცია ქართულ ენაზე - **0230000** | 14 |
| 5 | მეწარმეობა - **0480000** | 4 |
| | სულ: | **60** |

| პროფესიული მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები - **04.2.1.1** | 8 |
| 2 | ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები - **04.2.1.2** | 12 |
| 3 | სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა - **04.2.1.3** | 20 |
| 4 | სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება - **04.2.1.4** | 16 |
| 5 | სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება - **04.2.1.5** | 16 |
| 6 | ტვირთის გადაზიდვის კონტროლი - **04.2.1.6** | 12 |
| 7 | სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლი - **04.2.1.7** | 16 |
| | სულ | **100** |

| ქართული ენის მოდულები | | |
|---|---|---|
| | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ქართული ენა A2 - **0110001** | 15 |
| 2 | ქართული ენა B1 - **0110002** | 15 |
| | სულ: | **30** |

## 14. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში მოითხოვოს განმეორებით გასვლა სწავლის შედეგების დასადასტურებლად. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა; კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, მოდულის განმახორციელებელის პირების მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**
- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;

- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

## 15. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და გაიაროს შუალედური შეფასება და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 16. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-15 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## 17. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის თუ შემუშავების საფუძველი

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი;
- პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროფესიის სტანდარტი - ტვირთების ექსპედირების სპეციალისტი;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO – 2008);
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED – 2013);
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორი.

## 18. ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება

**პირს ქართული ენის კომპეტენცია უდასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მტკიცებულების საფუძველზე:**

- თუ წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ გაიარა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა და წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ აკადემიის მიერ დადგენილი წესით დაადასტურა ქართული ენის A2/B1 მოდულის სწავლის შედეგები.

**პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია** „მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის A2/B1 მოდულებით.“

## 19. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტები

- **შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD",** მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N17

- **შპს ,,გაკო ტერმინალი",** მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება
- **შპს „ილო ტრანსპორტი“,** მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40
- **შპს “სან ლოჯისტიკ” ,** მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40
- **შპს ”სარ გრუპ”,** მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40
- **სს ,,ლელო’’,** მისამართი: ქ. თბილისი, ქსნის ქ. №36
- **შპს „ევო ულუსლარარასი ნაქლიათ“,** მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, № 19
- **შპს „3 მ ტრანს“,** მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა, № 40
- **შპს "LTD Kairos Logistic",** მისამართი: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. № 60

16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართები:

დანართი 1 - მოდული **ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები - 04.2.1.1**
დანართი 2- მოდული **ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები - 04.2.1.2**
დანართი 3 - მოდული **სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა - 04.2.1.3**
დანართი 4 - მოდული **სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება - 04.2.1.4**
დანართი 5 - მოდული **სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება - 04.2.1.5**
დანართი 6 - მოდული **ტვირთის გადაზიდვის კონტროლი - 04.2.1.6**
დანართი 7 - მოდული **სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლი - 04.2.1.7**
დანართი 8 - მოდული **ინფორმაციული წიგნიერება - 11.00.5**
დანართი 9 - მოდული **მეწარმეობა - 11.00.6**
დანართი 10 - მოდული **პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები - 11.00.4**
დანართი 11 - მოდული **რაოდენობრივი წიგნიერება - 11.00.3**
დანართი 12 - მოდული **სამოქალაქო განათლება - 11.00.2**
დანართი 13 - მოდული **უცხოური ენა (ინგლისური ენა) - 11.00.1**
დანართი 14 - მოდული **კომუნიკაცია ქართულ ენაზე - 0230000**
დანართი 15 - მოდული **მათემატიკური წიგნიერება - 0540000**
დანართი 16 - მოდული **მეცნიერება და ტექნოლოგიები - 0580000**
დანართი 17 - მოდული **მოქალაქეობა - 0380000**
დანართი 18 - **მოდული მეწარმეობა - 0480000**
დანართი 19 - **ქართული ენა A2 - 0110001**

დანართი 20 – **ქართული ენა B1 - 0110002**

დანართი 21 - **სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე**

დანართი 22 - **სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით**

დანართი 23 - **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ**

დანართი 24 - **სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი გარდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისა**

დანართი 25 - **სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის**